



# ივერია

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის პერიოდული გამოცემა

N 19

## IVERIA

EDITION PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს დაბადების დღე?	კ.წაჭარბეთყარაჭაძისა
ეროვნული წიგნთმწოდველობა	შალვა კალანდიაძე
ლეონტი მარტვილი რედაქციის უფლებების	

საკითხი

მანამა. ანუ ნაჭარა ერის უფლებების ცნობა	გივი კატლიანი
ისტორიული მარტვილები	გივი ზაღარასანიძე
დათვის მოქმედებები	მიხეილ ქავთარაძე
ქურნაღი „მურანი“ ს მესამე ნომერი	მანანა ქვიციანი
დემონსტრაცია წვილისში	
საბჭოთავი	



პარიზი აპრილი 1978 Avril Paris

# საქართველოს დაბადების დღე?

57-ი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთის წითელი არმია მუხანათურად დაესხა თავს საქართველოს და უთანასწორო ბრძოლების შემდეგ დაიპყრო ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ქვეყანა დასტოვა მთავრობამ და დამფუძნებელი კრების ზეგმა წევრმა და მათთან ერთად, მრავალმა გამოჩენილმა ქართველმა მამულიშვილმა.

ორმოცდაჩვიდმეტი წელიწადია დაპყრობილია ქართველი ერი და ამ დაპყრობის ყოველ წლისთვის კომუნისტური ხელისუფლება ერისაგან მოითხოვს ამ დაპყრობას თავისუფლება დაბრუნებას და საზენო ვითარებაში გადაიხადოს იგი. მიმდინარე წლის ოცდახუთ თებერვლის გაზეთი ტკომუნისტი" გვაუწყებს- ოცდახუთი თებერვლი საბჭოთა საქართველოს დაბადების დღეა!" და სტატიაში "თანასწორობა თანაგარსკვლავეთში" ჩამოთვლის ყველა იმ მიღწევებს, იმ წარმატებებს, რომლებიც მიღწეულ იქნა საქართველოში კომუნისტური რევოლუციის დამატების შემდეგ.

მაგრამ და ეს მოსალოდნელიც იყო, ამ სტატისტიკის ავტორი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაკოროია დუმილით უფლის გვერდს იმ ფაქტს, რომ თებერვალში ქართველ ერს წაართვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ერისა და პარტიების თავისუფლება. თებერვალმა ქართველ ხალხს წაართვა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, როგორცაა აზრის, სიტყვის, სინდისის, ქრისის, კრების, გაფიცვის, მიმოსვლის თავისუფლება, ე.ი. ყველა ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც ფსიქირებულა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და სხვა მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში, რომელსაც ხელი მოაწერა საბჭოთა მთავრობამ. 57 წელია უფლებაპყრობილია საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, საქართველოს ყველა საკიბოროტო საკითხს წყვეტს კრეული და ჯო მისი მონამორჩილები- შევარდნაძენი და ძმანი მათნი, რომლებიც ჩვენს სამშობლოში უსიკრებლოდ ატარებენ რუსიფიკაციის ინტენსიურ პოლიტიკას.

მაგრამ რუსის ხელშეპყრობის რევნიში შემოღებულმა უცხო რევნიმმა ამ 57-ი წლის მანძილზე ვერ შეძლო ქართველი ერის წინააღმდეგობის მოსპობა, რომელმაც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მიიღო ახალი ფორმა: ეს წინააღმდეგობა გამოიხატება სამართალდაცვის მოძრაობაში; თავისუფლად მოაზროვნეთა მოძრაობაში; ამ მოძრაობას საქართველოში სათავეში ჩაუდგნენ ჩვენი ერის სახელგანთი შეილები ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რეხილიძე; თეიმურაზ ჯანელიძე, გალენტინა ფილიძე და მრავალი სხვა, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ ჩვენს ქვეყანაში დროულად თავისუფლების და ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დასაცავად. თავისუფალი სიტყვა აქრძალულია ამიტომ ისინი მიმართავენ არალეგალურ- საბჭოთა პირობებში არალეგალურ მეთოდს- თვითგამოცემას რათა ქართველ ხალხს და მსოფლიო საზოგადოებრიობას გააცნონ ჩვენი ქვეყნის უმწეო მდგომარეობა. ამ ჯგუფის მიერ დაწერილ მრავალ განცხადებას, პრეტენსტ შედეგად მოყვა ის, რომ ამ ბოლოდროს საქართველოზე აღაპარაკდა მსოფლიო პრესა. ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და ვიქტორ რეხილიძეს ძვირად დაუჯდათ მათი გაბედული მოქმედება ქართველი ერის სამსახურად. ისინი დააპატიმრეს გასული წლის 17 აპრილს, შემდეგ გადაიყვანეს მოსკოვში, სადაც, აღბად დღემდე იმყოფებიან.\* მსოფლიო საზოგადოებრიობა, სხვადასხვა ორგანიზაციები მოითხოვენ მათ განთავისუფლებას.

და როცა საპატიმროდან თუ ფსიქიატრულ საავადმყოფოდან გაათავისუფლებენ ამ თავდადებულ მამულიშვილებს, როცა მათ, და საერთოდ ქართველ ხალხს აღარ დასჭირდება თვითგამოცემა თავისი აზრების გამოსათქმელად, მაშინ როცა თავისუფალი აზრისათვის არავის აღარ გამოამწყვდევენ საპატიმროებში, მაშინ შეგვეძლება თქმა: "დღეს არის საქართველოს, და არა საბჭოთა საქართველოს- დაბადების დღე".

გულნარა პატარაძე-ურატაძისა.

\* უკანასკნელად მიღებულ ცნობათა მიხედვით ისინი ტფილისში გადმოიყვანეს, რედ.



# ეროვნული პრობლემა დღეს

ნაციონალური პრობლემა თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური რეალობაა. და ეს სწორედ მთელი მსოფლიოს პრობლემაა და არა ამა თუ იმ სახელმწიფოსი. სხვადასხვა დროს თავს იჩენდა ნაციონალიზმის სხვადასხვა სახეები, მაგრამ ამჟამად ნაციონალური პრობლემა და მისი მოუგვარებლობა ცენტრალური მნიშვნელობის ადგილს იკავებს თანამედროვე მსოფლიოში.

მოუხედავად ამისა, რომ ნაციონალური პრობლემა დღეს ფართო აღიარებას ღებულობს, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაციონალურ პრობლემის არსებობის უარყოფას. ამის საიდუმლოა ციოლო შიდა-ღებობა მოვლევანით უკანასკნელი საბჭოთა კონსტიტუციის ცალკეული დებულებანი.

ურთიერთკავშირი 77 წლის კონსტიტუციასა და საბჭოთა კავშირის მრავალფეროვნულ ხასიათს შორის ასახულია სამ მომენტი: პირველი — კონსტიტუცია აღიარებს საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ერების არსებობას. მეორე — აღიარებულია სახელმწიფოს ნაციონალურ-ტერიტორიული დაყოფა. ეს ორი მომენტი ეროვნული თვალსაზრისით პოზიტიურია. ამავე კონსტიტუციაში არის მესამე მომენტი, მასში ლაპარაკია მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებზე და ერთა თანაბარ უფლებანიშნაზე. მაგრამ შიგ ამ თანაბარუფლებანიშნის დაცვის კონკრეტულ გარანტიებს საერთოდ ვერ ვპოულობთ.

ხალხთა იურიდიულ და ფაქტურ თანასწორობის უარყოფილებას ემატება **მტკიცება** იმაზე, რომ ნაციონალური პრობლემა მხოლოდ თანამშრომლობისაგან იშვიათად ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ამრიგად, ეს კონსტიტუცია თანასწორობის კონკრეტული დეფინიციის მაგიერ, თუ ეს თანასწორობა როგორ ხორციელდება და დაცულია, აღიარებს რაღაც ახალს, სინამდვილეში არარსებულსა და მიანთა ახალ — ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის აღმოცენებას.

მეცხრეტი და აგრეთვე პოლიტიკოსთათვის ყოველდღიურად ცხადი ხდება, ნაციონალური პრობლემის დიდი მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში. განსაკუთრებით იმით, რომ ის იწვევს საკონფლიქტო სიტუაციებს. ეს კონფლიქტები აღმოცენდებიან როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე სახელმწიფოთა შორისაც, რაც საგრძნობ გაველნას ახდენს მსოფლიოს ამწყობსა და მომავალზე კიდევ მეტი, თანამედროვე პრობლემათა შორის ნაციონალური პრობლემა ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი მომენტი, რომელიც ხშირად წარმართავს კაცობრიობის ისტორიის მთელ მსვლელობას. ამიტომ ამჟამად სოციალიზმმა მიზნად დაისახეს ნაციონალური პრობლემის როგორც მსოფლიო მოვლენის მთელი კომპლექსის შესწავლა. რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკის უკრისი ადების დროს, რომელიც მიმართულია მსოფლიო კრიზისების თავიდან ასაცილებლად, შეუძლებელია დაქმნაყოფილება ერთი სახელმწიფოს ნაციონალური პრობლემის შესწავლათ. თუ წინადა ნაციონალური საკითხის ირგვლივ ლაპარაკი და დავა მიდობა რუსეთის, ავსტრიის-უნგრეთისა და ოტომანის იმპერიების ფარგლებში, შემდეგში ცხადი გახდა, რომ ეს პრობლემა აზიასა და აფრიკაში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორად იქცა, სადაც უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში აღმოცენდა რამდენიმე ათეული ახალი სახელმწიფო, და ამათში უკვე თავს იჩენს საკუთარი ნაციონალური პრობლემა, რამდენად ეს სახელმწიფოები თვითონ არიან მრავალეროვანი.

მაგრამ თვით უახლეს ისტორიას ახასიათებს ფაქტები, რომლებიც დადასტურებენ დიდი ხნიდან აღმოცენებულ ნაციონალურ სახელმწიფოების დანაწილების გარკვეულ ტენდენციას. ამრიგად, გარდა საბჭოთა კავშირისა სადაც მწვევად დავს ნაციონალურ პრობლემის მოგვარების საკითხი, ამჟამად ამ პრობლემამ თავი წამოაყვამ მსოფლიოს იმ სახელმწიფოებში, რომელთაც დღემდე ნაციონალურად ერიგებოვნად იკვირებ. და ახ ბევრ ნაციონალურად მშველელ კლასიკურ ეროვნულ ქვეყნებში ცხადად მოსჩანს, რომ პოლიტიკური და კულტურული გაერთიანებისა და შევადების პროცესი ერთმანეთისაგან ცოტათი გამსხვავებულ ეთნიურ ჯგუფებისა სასვებით არ ყოფილა დასრულებული. და უცხად ეს სხვადასხვა ჯგუფები, რომლებზედაც ფიქრობდენ, რომ მათ დიდი ხანია გაუქრათ თავიანთი ეთნიური თავისებურების შემცენება, რომ ისინი დიდი ხანია სრულიად გაითქვიფენ მთავარ, დიდ ერში, სწორედ ეს ჯგუფები ხმას იმაღლებდენ და ისიც დაჭინებთ, თავიანთ არსებობაზე და გამომადან ნაციონალური მოთხოვნებით.

ეს ჯგუფები რიცხვობრივად სხვადასხვა არიან. ესენია შოტლანდიელები ინგლისში, ბრეტონელები და კორსიკელები საფრანგეთში, ბასკები ესპანეთში. გარდა კლასიკურ ნაციონალურ სახელმწიფოებში ყოფილთვის იყო ჯგუფები, რომელნიც ეთნიურად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდენ, მაგრამ მათი ნაციონალური თავისებურება არც ისე ნათლად ვლინდებოდა. ამჟამად კი ეს ნაციონალური თვითგამოვლინება აღმოჩნდა სახელმწიფოს შინაურ პოლიტიკის ცენტრში და პრაქტიკულად, ბელგიაში — ვალონებსა და ფლამანდელებს შორის დამოკიდებულება, ესპანეთშიც — კატალანელები და ბასკები, ფრანგული კანკლის პროვინცია კვებეკი და მათი ნაციონალური მთავრობა.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ნაციონალური პრობლემის უფრო სწორი გაგება, როგორც აგრეთვე განსაკუთრებული ინტერესი ამ პრობლემისადმი, ამჟამად შეიძინევა სწორედ იმით, რომ სრულიად ცხადი გახდა თვით მტკიცე ნაციონალურ სახელმწიფოებში ნაციონალური თვითმყოფლობის რესტავრაციისაკენ ტენდენცია.

მსოფლიო ნაციონალურად ყოველთვის წარმოადგენდა მრავალსახიანობას. ზოგჯერ ტექვილიდებოდა მკრთალად, ზოგჯერ ცხადად, ზოგჯერ დადებითად, ზოგჯერ უარყოფითად. მაგრამ დღეს კი ნაციონალური პრობლემა შედის მის საერთოსაკაცობრიო განვითარების ფაზაში. ამიტომ ამ პრობლემის ისტორიულად შესწავლა-გარკვევა სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს. ნაციონალური პრობლემატიკა წარსულში და - დღეს. ხოლო ნაციონალური პრობლემის შესწავლა დღეს გვაძალღებს ნაციონალური არსებობისა და ნაციონალური თანაბარუფლებიანობის შეურყეველ უფლების აღიარებას. ამიტომ სრულიად კანონიერია ახალი თერმინებისა და ახალი განსაზღვრათა ძიებანი, რომლებიც უფრო ზუსტად გამოთქვამენ ამ საერთოსაკაცობრიო პრობლემას.

სწორედ ამ გზას დაადგა აშერიკელ და კანადელ მეცნიერთა ერთი ჯგუფი, ხოლო პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ამერიკულმა აკადემიამ 1977 წლის სექტემბერში გამოსცა მათი შრომათა კრებული სათაურით „ეთნიური კონფლიქტი თანამედროვე მსოფლიოში“. ხსენებულ კრებულში მათგანებული შრომები ეხებიან კულტურასა და ნაციონალური ჯგუფების ურთიერთდაშოკიდებულებას; ეთნიკურ შეტაკებებს ბელგიაში; შეიარაღებულ კონფლიქტს ჩრდილო ირლანდიაში; ნაციონალურ პრობლემას საბჭოთა კავშირში; ნაციონალურ პოლიტიკას იუგოსლავიაში.

კრებულში დაბეჭდილი წერილები ეხებიან აგრეთვე ეთნიურ პრობლემას კომუნისტურ ჩინეთში, კურდების ბრძოლას ირანში; ნაციონალურ პრობლემას სამხრეთ აზიაში. მაგრამ კრებულში გვხვდება უფრო საერთო ხასიათის კითხვებიც, რომლებიც არკვევდ და ეხებიან არა ამა თუ იმ სახელმწიფოს, არამედ ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ყველა მიმდრამობის დამახასიათებელ მხარეებს. მაგალითად ასეთი თემა: პოლიციისა და ჯარის როლი ნაციონალურ პრობლემის მოგვარებაში. ან კიდევ - იძულება ნაციონალურ პრობლემაში და სხვა. ამ ცალკეულ და კონკრეტულ პრობლემებზე ჩვენ ვისაუბრებთ შემდეგ წერილში.

შალვა კალანდაძე.

# კანადა

## ანუ ჩაჭარა ერის უფლების ცნობა

ისრაელის ჯარები სამხრეთ ლიბანის ტერიტორიას ესევიან. კუბელები და საბჭოელები, საბჭოელ გენერლის ხელმძღვანელობით, სომალელებს აძეკებენ ეთიოპიიდან. დოლარის ფასი დღითიდღე ეცემა. ამერიკის მომავლისათვის ესოდენ მნიშვნელოვან მომენტში, რას აკეთებს ვაშინგტონი? რას აკეთებს პრეზიდენტი კარტერი?

ამერიკულ კონგრესს, ასევე როგორც პრეზიდენტს, საჯონებლად მხოლოდ ერთი იდეა აქვთ: კონგრესის მიერ რატიფიცირებულ იქმნას გასულ ნოემბერში პანამასთან დადებული ხელშეკრულება. ამის მისაღწევად საჭიროა ხმების სამი მეოთხედი.

რატომ ეძლევა ამ საკითხს ასეთი მნიშვნელობა? რა არის ასეთი აღტყინების მიზეზი? რა პრობლემა წყდება? როგორია ვაწყუელი ჯაფის მიზანი?

ჯერ თვლი ვადავავალით პანამის არხის ისტორიას: 1880 წელს სუეცის არხის დიდი წარმატების შედეგად, ფერდინანდ ლესეპსმა საფრანგეთი დაითანხმა, რომ ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეთა შორის არხი გაეკრა. ცხრა წელიწადში ყვეოელ ცეხას, დონეტერისა და სხვა სენულებებს ოცდართობათის კაცო შეეწირა. საფრანგეთმა პროექტის განხორციელებას თავი დაანება.

ამერიკას 1846 წლიდან უკვე ძლიერ აინტერესებდა ეს მხარე. ამ წელს კოლუმბიამ ამერიკას მიანიჭა უფლება ოკეანეთა გამყოფი ყელით სარგებლობისა და აგრეთვე უფლება წესრიგი დაცვისა ამ ადგილებში. ესპანეთთან ომის დროს ამერიკელებმა დაიანხეს, რომ მათ სჭირდებოდათ ფლიპინსა და კუბას შორის სწრაფი მიმოსვლის საშუალება პქონოდათ. (ეს ორი მხარე მნიშვნელოვან ბრძოლების ასპარეზს წარმოადგენდა).

პრეზიდენტ თომასო რუზველტმა და ამერიკულმა კონგრესმაღესებსის იდეის გაცოცხლება-ატლანტიკის და წყნარ ოკეანეთა შორის არხის გაქრა ვადაწყვიტეს. ამჯერად ორი შესაძლებლობა



არსებობდა: ნიკარაგუა ან პანამა. პანამაში ნიკარაგუას დაასწრო.

1903 წელს ოთხ ნომბერს, ამერიკის მიერ მხარდაჭერილმა პანამამ თავისი თავი, კოლუმბი-საგან დამოუკიდებლად გამოაცხადა. ერთი წლის შემდეგ ამერიკელმა ინჟინერებმა მუშაობა დაიწყეს. რაც საფრანგეთმა ვერ შეძლო, ამერიკელებმა შეძლეს. მაგრამ რა ფასად? ათი წლის ჯაფთა, 387 მილიონი დოლარი, 6639 მკვლარი და 97 ქვეყნიდან მოყვანილ ორმოცათან მუშის გამოყენება.

1905 წლის ოთხ ივლისს, სწორედ ამერიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, გაიხსნა პანამის არხი და ყველა პანამელი იმ დროის უდიდეს ტექნიკურ მიღწევას ზეიმობდა. ორი წლით ადრე, 1903 წლის თვრამეტ ნომბერს, დადებული იყო ხელშეკრულება ორ სახელმწიფოს შორის, რომლის ძალით ამერიკას ენიჭებოდა „სამუდამო“ სუვერენობა თექვსმეტი კილომეტრი სივანის მკონე მიწაზე ოკეანედან ოკეანემდე—

პანამელებმა ჩივილი მალე დაიწყეს. სამუშაო რომელიც მათ ეძლეოდა უმნიშვნელო იყო. მთავარი ადგილები ამერიკელებს ეკავათ. პანამას ბუნებრივი სიმდიდრე არ გააჩნია. როდესაც ისინი თავიანთ ბედს სხვა, ლათინურ ამერიკის ხალხების ბედს ადარებდნენ, ხედავდნენ, რომ საკუთ-არ ცხოვრების ღონეს ამაღლებისათვის მათი ერთადერთი წყარო არხის ექსპლუატაციით შემოსული თანხები უნდა ყოფილიყო. ხოლო ეს არხი და მასზე სუვერენობა მათ აღარ ეუფლებოდა.

პატარა ქვეყანა, უიარაღო, უფინანსო, მიცირიცხოვან მოსახლეობით! როგორ უნდა დაერწმუნებინათ მათ ამერიკელები, რომ უფრო მაღალი ცხოვრების ღონეს ღირსნი არიან? გაუფრთხლებ-ნენ კი მათ ამერიკელები? დრო კი გადიოდა.....

1964 წელს ეროვნულმა აჯანყებამ იფეთქა— მიმართულმა არხის ზონაში მცხოვრებ ამერიკელთა წინააღმდეგ: დაიხოცა ოცი პანამელი და ოთხი ამერიკელი.

ამერიკელებმა, რომელნიც დიდად ანგარიშისგამწვენი არიან საზოგადოებრივი აზრისა, და ღრმა შეგნება აქვთ ადამიანის უფლებისა, პანამელებს მოლაპარაკების დაწყება შესთავაზეს ახალ ხელშეკრულების გამოსამუშავებლად.

ამერიკისათვის ძნელდასატანი იყო, რომ უჯარო, უსახსრო და ყოველგვარ რეალურ ძალას მოკლებულ პატარა ქვეყანას—მის ეროვნულ მოძრაობას, მათთვის წაერთმია ათი წლის ჯაფით მონაპოვარი. დღემდე არ მომხდარა, რომ რომელიმე პატარა ქვეყნის ცხოვრების ღონეს ამაღლების მოტივით. დიდ სახელმწიფოს პატარასათვის სარგებელის ზედღართვით დაებრუნებინოს ის. რაც ამ უკანასკნელმა რამდენიმე წლის წინად ნებაყოფლობით დასთმო.

ვანა საბჭოთა კავშირისაგან მოსალოდნელია ასეთი საქციელი?

სიდიდე არის ეს თუ სისუსტე? ყოველ შემთხვევაში პანამელთათვის ეს მიუწვდომელ ოც-ნების განხორციელებაა. უეჭველია საქართველოსთვისაც სასურველი იქნებოდა ასეთი „მფარველი“ ჰყოლოდა.... მხოლოდ ოცი კაცის გაწირვით უკანვე დაიბრუნებდაყოფლობით გაცემული მიწა.

ახალი შეთანხმება ასეთია: 1) ამერიკა ინარჩუნებს კონტროლს არხისა და 1999 წლის ბოლომდე.

2) ამერიკელები და პანამელები ინაწილებენ არხის დაცვის უფლებას 3) 2000 წელს არხის ზონა პანამის სუვერენობაში ბრუნდება. 4) ცენტრალურ ამერიკაში სხვა არხის გაპრისათვის, ამერიკას პანამის თანხმობა სჭირდება 5) პანამა მიიღებს 345 მილიონის სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას. 6) საუკუნის ბოლოს პანამას ავტომატიურად გადაეცემა ექვსი თუ შვიდი მილიარდი დოლარის ქონება: გზები, საცხოვრებელი შენობები, დოკები, და რკინისგზები.

გასაკვირი არ არის, რომ ცამეტი წლის განმავლობაშიოთხთ პრეზიდენტის მიერ ამ ახალი შეთანხმების გამოსამუშავებლად ნაწარმოებ ცდების მიუხედავად, ხელშეკრულების პირველი ფაზა მხოლოდ ერთი ხმის უმრავლესობით იქმნა. ავტომატივიტირებულ.

ახალ ხელშეკრულების მომხრეები ერებისა და ადამიანის უფლებათა პრინციპებზე დაყრდნობით მოქმედებდნენ. მოწინააღმდეგენი კი ეყრდნობიან საკუთრების უფლებას, რომელიც გაწეულ ჯაფთს და საქმეში ჩადებულ კაპიტალსაც შეიცავს.

გამამხნელებელია, რომ ამერიკა ერთხელ კიდევ, პატარა ერთა უფლებას, ყველა სხვა უფლებათა უფრო მაღლა აყენებს—თვით ჩადებულ კაპიტალის უფლებაზედაც კი.

მიიღებს საბჭოთა კავშირი ამერიკელთა ამ საქციელს ვით მაგალითს ქველობისას?

როგორ გაკვეთილად უნდა მიიღოს საქართველო ისტორიული მნიშვნელობის ეს მოვლენა?

# დეტანტი კარტერი და ადამიანის უფლების საკითხი

ამ თემაზე მოხსოვა დამეწერა, ჩემმა მეგობარმა „ივერია“ს რედაქტორმა და თან დასძინა ვიცი ამაზე ვარაუდით კი ძნელი იქნებოთ, სწორედ ამ „ვარაუდის“ დროს მომავონდა, რომ საარჩევნო პაქტობის დროს კარტერმა, პრეზიდენტ ფორდის გამოთქმა: პოლონელები და სხვა სატელ-იტები თავიანთ ბედს თვითონ განაგებენო, არ გაიზიარა და ამგვარად ეს საკითხი პირველად სწორედ მაშინ დააყენა. ვიცი პრეზიდენტობის კანდიდატმაც აგრეთვე გააკრიტიკა ეს ფაქტი, რომ ფორდმა კისინჯერის რჩევით, სულენიცინი სადარბაზოდ არ მიიღო, რათა ამით კრემლის გულსწყრომა არ გამოეწვია. ამ ეპიზოდში გამოიხატა ნიქსონ-კისინჯერ-ფორდის საგარეო პოლიტიკის ბუნება, რომელსაც მშვიდობიანი თანაარსებობა ანუ დეტანტი დაერქვა. ეს სხვათა შორის, არ უნდა ტრადიციულ ჯგუფისონის და გილსონის ამერიკულ დემოკრატიის პრინციპებს.

„ცივი ომი“, რომელიც მეოთხედი საუკუნე გაგრძელდა, უმთავრესად გამოწვეული იყო სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე. ოთხი ამერიკელი პრეზიდენტი და პირველ ხანებში მებუთები-ნიქსონი ამ ხაზს მისდევდნენ. მათი თქმით საბჭოთა კავშირს თავისი მოქალაქეებისა და დაპყრობილ ერებისათვის, მარქსისტ-ლენინისტურ პრინციპების ძალით თავზე მოხვევის და ამის შესაფერ მეთოდებით მათზე მეფობის უფლება არ ჰქონდა.

პრეზიდენტმა აიზენჰაუერმა კონგრესსთან ერთად „დაპყრობილ ერების კვირა“ დაადგინა. საბჭოთა მესვეურებს წითელი იმპერიალისტები უწოდეს. ამერიკამ დიდი თანხების გაღებით ააშენა ძლიერი სამხედრო ძალა და სტრატეგიული ბაზები საბჭოთა კვების გარს შემოარტყა. შექპრა მრავალ სხვა ერთად სამხედრო და ეკონომიური კავშირები და მათ დიდი დახმარება გაუწია. სამხრეთ კორეის კომუნისტურ კოალიციის აგრესიასაგან გადასარჩენად, ამერიკელებმა საკუთარი სისხლი დაღვარეს. მათ ამ ღონისძიებებით საბჭოთა ექსპანსია შეაჩერეს.

ამერიკას და მის მოკავშირეებს რომ ასეთი პოლიტიკა დღემდე გაეგრძელებოდა, ეს ალბათ საბჭოთა კავშირს შეუქმნიდა მძიმე სამხედრო, ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას-მითუმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, მის მოსაზღვრე აწ გადაბრტყეულ ჩინეთის არსებობასაც. გარდა ამერიკამ დიდი შეცდომა დაუშვა: მან ვიეტნამში ფეხი შედგა. სხვა რომ თავი დავანებოთ, იმ ქვეყანაში სადაც საფრანგეთის კოლონალური პოლიტიკა დამარცხდა, საერთოდ და. საკლეთელის ასპარეზზედ გამოჩენა ადგილობრივ ადამიანთა აღტაცებას ვერ გამოიწვევდა. ომის სწრაფად მოსაგებად, მთელი მისი საშინელი ძალის გამოყენების ნაცვლად, პოლიტიკოსებმა ვაშინჯინტიში და მათმა მოკავშირეებმა სხვა ქვეყნებში, გადაწყვიტეს „არც მოიგო-არც წააგო“ს სახის თამაში. გაგრძელდა ომი, რომელიც ამერიკელ უმრავლესობის თვალში, მათ ქვეყნისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას არ წარმოადგენდა. ასეთ პირობებში ჩრდილო-ვიეტნამელთა და მათ მოკავშირეთა პროპაგანდამ, დემოკრატიულ ქვეყნებშიც, ადგილობრივ კომუნისტების და „ნებურალურ“ წრეების დახმარებით, მათთვის სასურველ შედეგს მიაღწია. ომი არამორალურ რადა მონათლეს და ამერიკელთა უმრავლესობაში მოინდომა ამ ომის და საერთოდ „ცივი ომის“ დამთავრება. ესენი მზად იყვნენ კომპრომისისთვის, თუ ეს ამერიკის არსებობას საფრთხის წინ არ დაყენებდა. ამიტომ ნიქსონის და კისინჯერის პოლიტიკის დედაბოძად დეტანტი გადაიქცა. პრეზიდენტს ამ ნაბიჯის გადადგმა მომავალ არჩევნების მოსაგებადაც პირდებოდა და რიგორც ვიცით, მან ამას დღვილად მიაღწია.

დეტანტი ნიშნავს ამერიკის ნეცრ საბჭოთა რეჟიმის თანასწორუფლებიანად ცნობას და ამით იდეოლოგიურ ბრძოლის დამთავრებას. იგი კარს დიად სტოეებს საბჭოთა კავშირის ექსპანსიისათვის. გარდა ამისა საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რათა ამერიკამ ხელი მოაწეროს შეთანხმებას, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირს ატომურ ძალთა თანასწორობის გარანტია მიეცემა. ამავე დროს ამერიკა მას დაეხმარება ეკონომიურ პროგრესის მისაღწევად.

1972 წელს მოსკოვიდან დაბრუნებულმა ნიქსონმა ამერიკელებს მოახსენა, თითქოს მან გავლენა მოახდინა კრემლის მესვეურებზე და ეს ახალი პოლიტიკა დააზღვევდა მშვიდობიანობას დასავლეთისათვის. საქმის სინამდვილის გაგება კი შეიძლება ბრუნევის მიერ 1973 წელს წარმოქმნილ საიდუმლო სიტყვიდან მას უთქვამს: „ჩვენ შევძელით მოკლებნიან დეტანტის დროს მეტის მიღწევა, ვიდრე მრავალწლიან წარსულ დაპირისპირების პოლიტიკის პერიოდში... ამის შედეგად 1985 წლამდე მივალწვეთ ჩვენ მიზანთა უდიდეს ნაწილს ევროპაში... გადაამწყვდით ცვლილება ძალთაშეფარდებაში ისედაც იქნება, რომ 1985-ში შევძლებთ ჩვენს სურვილს გავრცელებას სადაც კი მოვინდომებთ.“



ამერიკამ შეასუსტა საკუთარი სამხედრო ძალები მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირი ანხორციელებს უმადლოდ დიერ შეიარაღების პროგრამას „მშვიდობიანობის“ დროს. აგრეთვე შესაძლებელია, რომ დასავლეთის მიერ საბჭოთა სისტემის თანაწილურებასთან დაკავშირებით შეიქმნოს კომუნის განვითარებას ევროპაში.

ცხადია ბრენდენს არ მოეწონა ნიქსონის გადაყენება, რადგან იგი კისნგერთან ერთად აღარც ბლა დეტანტზე აშენებულ საგარეო პოლიტიკას, რასაც შეეწირა ადამიანი! „... დედა დიდ საბჭოთა იმპერიასი. პრეზიდენტმა...“ და აღქმანდრე სოლენიციხე და რაზობაზე უარი სწორედ იმიტომ უთხრა, რომ იგი მისი წინამორბედის პოლიტიკას აგრძელებდა. ასეთ პირობებში შეუძლებელია პე-ლსინკის ხელშეკრულებამ რომ სერიოზული ცვლილებები მოახდინოს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ამერიკულ პრესის მიმოხილვა, მისი მიხედვით, ვაშინგტონში კონგრესის ქვეკომიტეტის წევრმა ედვინ დერვინსკიმ კარტერის აღმინისტრაციას ბრალი დასდო ადამიანის უფლებათა დაცვის დროს, ორმაგი ზომის ხმარებაში. სხვათაშორის მან სთქვა:... „შევიძლია მიიხრახრად არის მორალე?... რატომ აღარ არის ანტიკომუნისმი ჩვენი პოლიტიკის ინტეგრალური ნაწილი? ჩვენ ხელს ვკარგავთ არგენტინას და ამავე დროს ხელს ვუწვილით კუბას“ ო. ამაზე მარკ შანიდერმა კარტერის სახელით უპასუხა: „ზრუნვა ადამიანის უფლებისათვის იქნება ენერგიული და ამას სთქვენ იხილავთ უცხო ქვეყნებთან დამოკიდებულების ყველა ფაქტში“.

ეს სიტყვები ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვებად რჩებიან, პრეზიდენტი კარტერი კი ადამიანის უფლებათა საკითხის ხელახლად დაყენებით, დიდ მორალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობის საგანს შეეხო. მისთვის საპრობლემური ქვეყნის მაჯის მოსინჯვა - სიმამაცე, სიბრძნე და შესაფერ დროს შეჩვენა. მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვა - აღდგენას სჭირია ქუთით, მორალით სამხედრო შეიარაღებით და ჯანმრთელი ეკონომიკით ძლიერი ამერიკა. აგრეთვე საპრობლემური პისა და სხვა ქვეყნების მოკავშირეობაც. ერთა მეთაურებმა ერთხმად და გაბედულად, ხალხს ნამდვილი მდგომარეობა უნდა აუხსნან, მას მანდატი მოსთხოვონ ადამიანის უფლებათა დასაცავად და ნებისმიერ ფერის მქონე ტირანებთან ისეთი ენით ილაპარაკონ, რომელიც მათ კარგად ესმით. ამას შესძლებენ მხოლოდ დიდ სახელმწიფო მოღვაწენი და არა პატარა პოლიტიკოსები.

დემრთმა ქმნას, რომ დემოკრატიაში ეს მიმე გამოცდა ჩააბაროს.

გივი გაბლიანი.

## ისტორიული ჰარალელები

ძვირფასო მკითხველო გაფრთხილებ, რომ ჩვენი წარსულის ძლიერ შორეულ ხანაში უნდა ვიმგავროთ - ათასობის წლის წინანდელ ამბავს გაიმბობ თუ ყურს დამიგდებ ნება შენია.

მეექვსე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა დღევანდელისას ჰგავდა - იმ განსხვავებით, რომ ნაცვლად ერთისა ორი გადია გვეყოლია.

ლიხს დასავლეთით, სპარსეთ-საბერძნეთს შორის მომხდარ უსასტიკეს ომებს შედეგად, დღევანდელი გურიის და ნაწილობრივად აჭარის ტერიტორიაზე მოხინდრე ლაზების მოსახლეობის თითქმის ამოწყვეტილი იყო, ხოლო ახალი ქართლენოვანი პროვინციების, გურია-აჭარის ჩამოყალიბება ჯერ დასრულებული არ იყო. მეფობა გაუქმებულ და დაშლილ ლაზთა სამეფოში ბიზანტიელები ბატონობდნენ. ლაზების მიერ აშენებული სკანდასა და შორაპანის ციხეები მათ აღარ ეკუთვნოდა, შიგ ხან სპარსთა ხან ბერძნთა მეციხოვნე იდგნენ.

არც ლიხს აღმოსავლეთი იყო უკეთეს დღეში. ქართლში შაჰის მირზანი ბატონობდა, ხოლო სპარსთა მიერ შეწყუარებულ ადგილობრივ ხელისუფალს მეფის სახელის ტარების უფლება წართმეულს, „ერისმთავარი“ ეწოდებოდა.

ერთი ასეთი ერისმთავარია ჩვენთვის საინტერესო ამბის პერსონაჟი - სახელად სტეფანოზ პირველი. ეს ის სტეფანოზია რომლის რელიეფური გამოსახულება დღემდის შენახულა მცხეთის ჯვარის აღმოსავლეთ ფასადზე - ეს ტაძარი მისი აშენებულია. (თუმცა მიუხედავად ამისა წერილობითი წყარო ამბობს: „იყო კაცი ესე ამპარტავანდა შორტთა შურითა დასავსე და ეკლესიათა ფრიად ძვირსა (ბოროტსა) უყოფდა“ ო).

აი ამ სტეფანოზს ერთხელ მოუსურვებია წმინდა შიოს მონასტერი მოენახლებია და ამის შესახებ ერთი დღით ადრე მონასტრისათვის უცნობებია. როცა იგი კათალიკოს ბატონომეს თანხლებით მონასტერში მისულა, წყენა გამოთქვამს ღირსეულად რატომ არ მიმიღეთო და მონასტრის

მამასახლისისადმი უკმეზ მედღეღობით მივმართე. თანა „ბერა არაკეთილი, არა სცანა მოსვლილი უწინარე დღისა ერთისა? და ვითარ შეურაცხმავთ, რამეთუ არარა მთავრობისა პატივი წინააღმდეგ მიჰყავთ და ოდეს სცანთ ეპისკოპოსისა თქვენისა მოსვლი, ესოდენ აღიღეთ იგი?“ (განა ერთი დღით აღრე არ იცოდე ჩემი მოსვლა, როგორ შეურაცხმავით მთავრობისათვის შესაფერი პატივით არ მიმიღეთ ხოლო თქვენი ეპისკოპოსი კი ისე აღიღეთ). ამაზე მონასტრის მეთაურს უპასუხნა მონასტრის წესის მიხედვით ასე უნდა მოვიქცეთო. სტეფანოზი ამ პასუხს არ დაუკმაყოფილებია და უთქვამს: „უმეტეს არს საყურადსა ჩემსა ეპისკოპოსისა და რამეთუ მე მივთუა საყდართა ვწმიდა იგინი არანი ნაცვალნი დედროსიანი ქვეყანასა ზედა“. (განის ეპისკოპოსის ტახტი ჩემსაზე უმეტესია, თუ ისინი დმრთისა ნაცვალნი არიან ამ ქვეყანად, მე მივთუა ტახტსა ზედა ვზივარო).

მამასახლისს არათუ უკან არ დაუხევია, არამედ დამცინავად მოუტრია: „ვითარ ვხედავ გონებასა შენსა, ფრთად შორს ხარ ღვთისა მსგავსებისაგან, რამეთუ სიტყვანი ეგე ამპარტავანი არიან და მიწურნითანი“ო. ამაზე განრისხებულ სტეფანოზს მონასტრის დასჯა განუზრახავს და ჯერ კიდევ ფარსმან მეფის მიერ შეწირული, ორი აგარაკი ჩამოურთმევია: „განრისხნა გულსწყრომითა სტეფანოზ მხილებითა მათთვის და მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქვა არა მიცხვე შეურაცხისმყოფელთა მამული ჩემი“. საინტერესოა, რომ მას თავისი გადაწყვეტილება ვერ აუხარებია. ეს ამბავი წყაროში იმით არის ასხნილი, რომ ერისმთავარს ძლიშ წმინდა შიო გამოეცხნა და უთხრა „სტეფანოზ ბოროტო და მედგარო რად მოსტაცენ მონასტრისა ჩემსა აგარაკენ? ირწმუნე ჩემი არათუ უკუნსვე მოვაველიო შენს ზედა რისხვანი ღვთისა და ბოროტად შეგკამოს“...

აქ უნდა ვიფიქროს იმით, რომ კონფლიქტი იტყობა კათალიკოსი ბართლომე ჩარქულა(გამოუჩენილია—დებლომატიურად) და საქმის გადაწყვეტ მსაჯულად წმინდა შიოს ჩარევა მოუფინით—ძალიან მთხერებულად.

ახლა ისევ ჩვენ დავრბი დავტრუნდეთ და ვცალოთ ზემოდაცნობილ პერსონაჟებს თანამედროვე შესატყვისი პირები მოვუძებნოთ.

სტეფანოზივით მივთუა ტახტსა ზედა მჯდომი ხომ ედუარდ შევარდნაძე— ქვეყნის მმართველად შაჰის მიერ შეწყნარებული. რომელიდა ის დაწესებულია, რომელიც იმდროინდელ პროვინციულ მონასტრის როლს ასრულებს— ცხადია რომელიმე უმაღლესი სასწავლებელი და მონასტრის მამასახლისი ამ სასწავლებლის რექტორი იქნება. ხოლო მაშინდელ კათალიკოსის პოსტს რომ მხოლოდ დღევანდელი საბეჭდო აკადემიის თავმჯდომარე უნდა შეედაროს ესეც არ უნდა იყოს საქეყო. და მსგავსებაც ამ ფორმალურ გარეგნულ სურათით იყარვლება. რადგან, განა წარმოსადგენია რომ შევარდნაძე ვიქვამო, ქუთაისის უმაღლეს სასწავლებელს ესტუმრება, თან აკადემიის თავმჯდომარე ხარაძე წაიყვანოს და მას „შესაფერი პატივი“ არ დაუხედენ? განა წარმოსადგენია— სასწავლებლის რექტორმა ხარაძე მეტი პატივით მიიღოს ვიდრე შევარდნაძე? ამ უკანასკნელმა რომ რექტორს საყვადურე უთხრას, განა შესაძლებელია— რექტორმა უპასუხოს—მეცნიერს უპირველესად უფროსი მეცნიერის პატივისცემა ჰმართებს? დავუშვათ დაუშვებელი და შევარდნაძე განრისხებული ამბობს: როგორ! აკადემიის თავმჯდომარე ჩემზედა უმაღლესი რთი არის, იგი თუ მეცნიერების მოძღვარია, მე კომპანიონის მშენებელ პარტიის იდეოლოგიის მოძღვარი ვარო.

რომელმა რექტორმა შეიძლება, რაგინდ გაბედულიც იყოს, ამაზე უპასუხოს: როგორც შენს ქუთაისა ვხედავ, ფრთად შორს ხარ მეცნიერთან მსგავსებისაგან რადგან შენი სიტყვები ამპარტავანი არიან და შურსაძენიო.

ნამბობიდან მყოთხელი დანახავს თუ რამდენად მაღლა დედაგარა დღევანდელთან შედარებით, ადამიანის პირადი ღრსება და მისი გაბედულებაც რამდენად უფრო შეუპოვარი ყოფილა. უზუნავს ხელისუფალი იმდენად განსაზღვრული უფლება ჰქონია თავის ქვეშევრდომთა მიმართ, რომ სტეფანოზს მამასახლისის პანადა დასჯა არ შეეძლებოდა რაკი ეკონომიურ სანქციისათვის მიუშართავს და მშვიდის ჩამორთმევა განუწირახავს და ისიც იმ უფლებით, რომ ეს მამული აღრიდელ მივთუა შეწირული იყო. ამ სურათს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ მაშინდელი მონასტრის მამასახლისი ძმათა მიერ არჩეული ბერი იყო მხოლოდ და არა თანამედროვე პროფესორის ხარისხიანი ცნობილი მეცნიერი—რექტორი(აქ ჩხიკვიშვილი და სურგულაძე არ იგულისხმებიან) ხოლო სტეფანოზი ერისმთავარი, შევარდნაძისადგავარად მტრის ერთგულებაში დაწინაურებული პოლიტიკი კი არ იყო, არამედ— თუ მივთუა ჩამომავალი არა, სამეფოტვარის მონათესავე დიდებულნი მათი იქნებოდა ეს მეფის ოლი და მცხეთის ჯვარის ამშენებელი მოღვაწე.

ის ფაქტიც, რომ სტეფანოზმა ისეთი ძველის აგება შესძლო როგორც მცხეთის ჯვარია, თავისთავად ბერის მიუხედავად: ქართლი მამუღანურ სპარსეთის ქვეშევრდომ მოხარე ქვეყანასწარმოსადგენად და ასეთ პირობებში, რამდენად უფრო შეწყნარებულ ყოფილა სპარსეთის მირზანის პოლიტიკა როგორც ხარკის სიმძიმეზე აგრეთვე ერთგულ კულტის სფეროში, რომ დამონებულმა ქართლმა შესძლო არა სპარსული არამედ ქართული ტაძრის აგებისათვის ეწარუნა, დიდი





სახსარიც ვაგელო და ისეთი ძველი დაეცოვებოდა, რომელიც ათასობისა წლის შემდეგაც ჩვე-

ნი ხუროთმოძღვრების მარკალიცა.  
ეს მოხარობილი ეპოქიანი იქნებ ზოგამა არ განაზოგადოს და მისი მნიშვნელობა ორი პი-  
როვნების ურთიერთშეჯახებით განსაზღვროს. ასეთი მიდგომა ცხადია მცდარი იქნება, მაგრამ  
იპვის გასაფანტავად, დღევანდელი საქართველოს მდგომარეობის უკეთ დასანახად, სხვა, უფრო  
ზოგადი მნიშვნელის ამბავიც ვაგისხენოთ იმავე ხანიდან.

შემოდანწერილი შემთხვევიდან ათი-ხუთმეტი წლის შემდეგ, 606-608 წლებში, მოხდა ცნობ-  
ილი განხეთქილება სომხურსა და ქართულ ეკლესიათა შორის. გაყოფის ოფიციალური მოტივი სარ-  
წმუნოებრივი იყო: სომხები მონოთეისტებად რჩებოდნენ. ქართველები კი მონოთეიტიზმს განუდ-  
გენ და ქალკედონელებს მიემხრნენ. მაგრამ საქმის ნამდვილი არსის გასაგებად უნდა ვიცოდეთ თუ  
როგორ საერთაშორისო კონტექსტში ხდებოდა ეს ამბები. საქმე იმაშია, რომ მონოთეიტიზმს სპ-  
არსეთი მფარველობდა ხოლო ქალკედონელობაბერძნულ ორიენტაციის ადებას უდრდა.

იმ დროს სპარსეთის სახელმწიფო სარწმუნოება მაზდეიზმი იყო, მაგრამ სპარსეთის იმ-  
პერიაში მრავალი ქრისტიანი ხალხი ცხოვრობდა, რომელთა დიდი უმრავლესობა მონოთეიტი იყო.  
ხოლო რადგან ბერძნებმა დასპარსეთსაგარედ მყოფმა სხვა ხალხებმა ქალკედონელობა მიიღეს, სპა-  
რსეთი თავის თავს მონოთეიტიზმს მფარველად აცხადებდა და ბიზანტიასთან იმების დროს, ცდი-  
ლობდა ანტიბიზანტიური ბრძოლა ანტიქალკედონურად შეენიღება. და ამით ქრისტიანთა შორის  
არსებული უთანხმოება თავის სასარგებლოდ გამოეყენებოდა.

სომხები, გეოგრაფიული მდებარეობისა და ბერძენთა პოლიტიკით უკმაყოფილებისა გამო,  
სპარსთა მფარველობაში მყოფ სარწმუნოების შენარჩუნებას ამჯობინებდნენ. ქართველებმა კი ბე-  
რძნული სარწმუნოებრივი ორიენტაცია აიღეს, რაც პოლიტიკურ ნაბიჯად ნიშნავდა. იმდროინდ-  
ელი საქართველოს კათალიკოსი კირიონი იყო. ეს პიროვნება შორსმჭვრეტელ ენერგიულ კაცად  
ჩანს. მას მცირე აზიაში-ნიკოპოლისი ჰქონდა განათლება მიღებული სადაც მან ხუთმეტი წელიწა-  
დი დაჰყო. მისი დასავლეთური ორიენტაცია იმდენად ღრმა ყოფილა, ქართული საკითხების გადა-  
ჭრისათვის რომის პაპს გრივოდ დიღს რჩევასა თხოვდა ხოლმე მასთან მიწერმოწერის დროს. აი ამ  
კირონის მიეუთენება მთავარი რალი ამ საქმის წარმართვაში.

სპარსელები ქართველთა ქალკედონობას ეარჯი თვალთ ვერ შეხედავდნენ. ეს მათი დომინაციის  
დასუსტებას ნიშნავდა საქართველოში. სპარსელთა წაქეზებით სომხებმა მიწერმოწერა გამართეს  
ქართველებთან. ისინი ქართველებისაგან მონოთეიტიზმში დაბრუნებას ნიიბხოვდნენ. სომხები  
ნამდვილ შენატესაც კი არ ერიდებოდნენ ასე მაგალითად: აბრამ სომხთა კათალიკოსი პირველსა-  
ვე წერილში კირონს და ქართველ მთავრებს ამხილებდა „არის რაღაც რომელიც დაუჯერებლად  
გვეჩვენა: უცხო სამეფოსთან (ე.ი. ბერძენებთან) რომ შექმნა შაშვინშაპის მონათაგანმა სიყვარულის  
ერთობადანუღებით თანამოზიარებ გაშორდეს, მართლაც რომ მიძიმეა“.

სომხურ ეკლესიის მესვეურთა გვერდით ამ მიწერმოწერაში მონაწილეობდა შაჰის დიდმო-  
ხელე პირქანის მირზაანი სმბატ ბაგრატიანი (მოღვმით სომხები). იგი სპეციალურ დავალებით ყოფ-  
ილა შაჰის მიერ სომხეთში გამოგზავნილი, რომ ამ საქმისათვის თვალყურს ედევნებოდა და ცდილიყო  
რომ იგი სპარსეთის სასარგებლოდ მოეტრიალებოდა. სმბატ მირზაანიც წერდა: „ვიინაიდან სომხები და  
ქართველი ორივე შაჰის შაპის ქვეშევრდომნი არიან, უნდა შევიწყოთ რომ ორთავეც ერთი სარ-  
წმუნოება უნდა გქონდეთ“. ქართველების მდგომარეობა სახიფათო იყო, ისინი პრეოკუაციულ ბრ-  
ალდებებს შეძლებისდაგვარად უარყოფდნენ, პირდაპირ პასუხს თავს არიდებდნენ.

ეს პოლიტიკა დიდ ხანს გაგრძელდა და კირიონის საბოლოო გადაწყვეტი პასუხი იყო: „თუ  
რომ ჩვენს სარწმუნოების გამოძიება და ცოდნა გნებავთ, მე ვადმოვთარგმნიდე და გაახელით  
ოთხთა კრებათა წიგნები რომელთაც ჰრომინი ხელმძღვანელებდნენ და ანასტას წმინდასა და წმინდა  
სიონში იქადაგების. გინდეთ თუ არა, ჩვენი სარწმუნოება ეს არის“. ეს საბოლოო პასუხი რომელ-  
თაც შეწუდა მიწერმოწერა, ირიბულად სპარსეთსაც ვაგია, რომელიც სომხებმა ზურგს უკან იდგა  
და ქართველების ბერძენებისაკენ გადახრის ხელისშეშლას ცდილობდა.

ამ პასუხის შედეგად აბრაამმა საკვირველი ნაბიჯი გადადგა: მან სომხებს უბრძანა ქართვე-  
ლებთან ყოველი კავშირი გაწყვიტეთ, მათ ეკლესიებში არ შეხვიდეთ არც ისინი შეუშვათ თქვენ-  
საში, ნება გქონდეთ მათთან მხოლოდ ვაჭრობისა, როგორც ურიებთანაა.

ამ განხეთქილებას მართლ სარწმუნოებრივი საფუძველი საფუძველი არ ჰქონდა. სომხ-ქართველთა შო-  
რის სხვა პრობლემებიც არსებობდა მათი გაშუქება ამ წერილის მიზანში არ შედის. ჩვენ აქ გვა-  
ინტერესებს საქმის ის მხარე, რომელიც დაპყრობილ საქართველოსა და დამპყრობელ სპარსეთის  
ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს გავაცნობს.

ამ მხრივ კი ჩვენ ვხედავთ, რომ მეშვიდე საუკუნის პირველ ათეულში, სპარსეთის ქვეშევრდომ  
საქართველოს უარუხვია სპარსეთის მფარველობაში მყოფი სარწმუნოება, რომელსაც საქართვე-

ლუ<sup>მ</sup> ადრე მისდევდა და სპარსეთის მტრის-ბერძნების სარწმუნოებას დადგომა. ეს სპარსეთის მისი ინტერესებისათვის მავნებლად მიიჩნეოდა. მაგრამ საქმეში პირდაპირ ვერ ან არ ჩარეულა და **ლომენთა** მშვეობით ცდილა - ქართველები ძველი სარწმუნოებისაკენ და ამით სპარსეთის მიმართ უფრო შემრიგებელ ორიენტაციისაკენ მოიხრებოდა. ქართველებს სიმტკიცე გამოეჩინათ სომხებისათვის და არაპირდაპირ სპარსელთათვისაც უარი უთქვამთ და დასავლეთური ორიენტაცია აუღიათ.

მაშინ სარწმუნოება იმავე როლს ასრულებდა როგორცაც დღეს ლოქრინა ან იდულოლია ასრულებს. ამ ამბის დღევანდელი ანალიზია იქნება საქართველოში რომ მარქსიზმ-ლენინიზმი უარყოფს და დასავლეთური დემოკრატიული სოციალიზმის ლოქრინა მიიღოს. ამ წარმოუდგენელ რამეს ძლიერ დაშორებული მაგრამ მიმსგავსებული რამ რომ მოხდეს, მოსკოვს ერევანში წასვლა დაპირდება ქართველების „მოსაკვივანებლად“? ან სომხეთის კომპარტიამ საქართველოსას რომ მოწეროს: რა ღმერთი გიწყრებათ წინად ხომ ორთავენი უფროსი ძმის მსგავსად მარქსისტ-ლენინისტები ვიყავით როგორ შეიძლება მოსკოვს ზურგს აქცეთ მის მტრის დასავლეთს უმეგობრდებითო, რას უპასუხებენ ქართველები? ნუთუ წარმოსადგენია - მათ უპასუხონ: თუ ჩვენი იდულოლიის გაცნობა გსურთ აი დასავლეთურ ლიტერატურას გაახლებთ გინდათ თუ არა ჩვენ ამის მიმდევრები ვართო?

მკითხველო შენ აღბად გეღიშება ამას რომ კითხულობ. დიდ ტრაგედიასაც ახლავს ხოლმე ღმერთის გამომწვევი რამ. შენი ღმერთი სიმწირის ღმერთია. აქ მოკლედ ნაბეზობი ეპიზოდი ჩვენი ქვეყნის შორეულ წარსულიდან, იმას გვიჩვენებს, რომ ათასობისი წლის წინანდელი დამპყრობელი ძლიერი სპარსეთი ჩვენს დღევანდელ დამპყრობელზე ბევრად უფრო ლიბოტივი ყოფილა და აგრეთვე მაშინდელი ადამიანის პიროვნებაც დღევანდელზე ნაკლებად ყოფილა დამონებული.

ეს არის საშინელი სიმართლე, რომლიდანაც ასევე საშინელი დასკვნა გამოდის: ჩვენი ერის სულსა და ხონის დამპყრობელის მწვევე ბრძალები ასე ღრმად არასდროს ჩასჭიდებია.

მიხეილ ქავთარაძე.

## დათვის მოშინაურება

ასეთი ცვა შეიძლება ეწოდოს დასავლეთის მიერ ჰელსინკის თათბირებში მონაწილეობას. მაგრამ იმ დიდი განსხვავებით, რომ ამ ცვაზე აღმართები იძულებით მიდიან, რადგან ადამიანებს კი არა ჰყავთ დათვი დაქერილი არამედ დათვსა ჰყავს დაქერილი ასეულ მილიონებით ადამიანები. მეორე დიდი განსხვავება ის არის, რომ ამ დათვის გალიაში ჩასმა შეუძლებელია რადგან იგი ადამიანებსავით შეიარაღებულია-იქნებ უკეთაც. ერთადერთი საშუალებაა-მხეცი თაფლით მოიტაცოს. დათვს თაფლი ძალიან უყვარს, მაგრამ იცის რომ ზოგი თაფლი მათრახულია ეშინია - არ დაუძინონ ამიტომ ძლიერ გამოწმობილად ქაის. ...

ჰელსინკის თათბირის შემდეგ ბელგრადის თათბირიც ჩატარდა. გადაწყვეტილია 1980 წელს მორიგი შეხვედრის მოწყობა მადრიდში. ტყუობაში მყოფი ასეული მილიონები კი იცდიან იმედოვნებენ სასიწარკვეთასაც განიცდიან.

ჰელსინკის კონფერენციას სხვა საერთაშორისო შეხვედრათაგან განსხვავებული სახე ჰქონდა: საბჭოელები დასავლეთებს მიმართავდნენ როგორც სახელმწიფოებს-მაშინ რადესაც დასავლეთი მათ მიმართავდა როგორც რეიგის. საბჭოელები ამბობდნენ დავმეგობრდეთ ვივაქროთ ერთმანეთს იქვით ნუ ვუჭქერითო. დასავლეთი პასუხობდა: ჩვენ კარგი განზრახვები გვაქვს, ჩვენი კარები ღია იდეთა ინფორმაციათა და პიროვნებათა თავისუფალ მიმოსვლისათვის, თქვენც ასე მოიქეით და ჩვენს კეთლ ურთიერთობას სხვა დაპრკოლება არა აქვსო. ამის გაჯონებაზე საბჭოელები ყალბუ ღგებინან- ამგვარი მოთხოვნებიდან ჩვენ საქმეში ჩარევა არის ამას ვერ დავუშვებთო. თუ დასავლეთი საბჭოთა სახელმწიფოს ნორმალურად ცნობს და ელაპარაკება როგორც ასეთს, მაშინ საბჭოელების პროტესტი სამართლიანია. და მართლაც თუ იცა არავინ ამბობს, მაგრამ სინამდვილეში დასავლეთის ასეთი პოზიცია იმას ნიშნავს, მათ თვალში საბჭოთა მმართველობა და საბჭოთა სახელმწიფო ერთიმეორის არ წარმოადგენენ. მაშ როგორ ხდება რომ თუ სხვა ადგილებში დიდი ამერიკა დიდ საბჭოთა კავშირს ბარბარში ელაპარაკება, ამ შემთხვევაში კომუნისტები სხვაგვარ მოპყრობას როგორ იტანენ? აი აქ არის დათვის ადამიანის და თაფლის ამბავი.

საბჭოეთის ბატონპატრონი პარტიაა. მათ ხელშია მთელი ქვეყანა. ამ პარტიას იდეა ჰქონდა. ძველმა თაბანამ ამ იდეისთვის იბღძოლა - მსხვერპლიც გაიღო.....მას შემდეგ დიდმა ღრომ განვლო.



სტალინი აღარაა. არც ის დროა როდესაც მრისხანე ბატონისთქმის ასკეტური პირადი ცხოვრება მთელი კასტისათვის ძალუენებური მაგალითი იყო და რაგინდ ცდუნება არა ჰქონდათ, ყველას ემონოდა პირადი კეთილდღეობისათვის მდგომარეობის გამოყენებისა. ჯერ კიდევ მესხიერებაში იყო ლენინის ჯიუტი გამოთქმა: როცა ყველა უბედურია ესეც თანასწორობა არისო.

თათბა გამოიყვალა. იდეურობა გაიციოცა. ყველამ იცის რომ სამთხვის ვერ აშენებენ—თანაც „გაბურჯუების“ პროცესიც საკმაოდ შორს არის წასული დაპარტიულ მათვის სურს უფრო უზრუნველად გაატაროს სიცოცხლერომ ამ ქვეყნიურ სიტკბოებას მწარე გემიც თან არ დასდევდეს. ისე ვით ამერიკის დიდ ქალაქებში მოკალათებული განგსტერთა მათვის წევრები შვრებიან, მათაც სურვილი აქვთ საწოგადობებამ (საერთაშორისში) მიიღოს ვით „წესიერი“ წევრები. მაგრამ მათი მდგომარეობა ორტოფულია —არჩევანი შეზღუდულია: ან ძალით უნდა შეინარჩუნონ ხელისუფლება და პრივილეგიები, ან ყოვილივე დაკარგონ და პასუხისგებაში მისაცემ ხალხად გადაიქცენენ.

როგორ უნდა მოიქცენ ასეთ შემთხვევაში უზარმაზარ ქვეყნის პატრონი უზურპატორები? ცხადია იდეოლოგიას ვერ დაიმოხებენ რადგან იგი ერთადერთი „გამიერთებაა“ მათი უზურპატორობისა. და ამვე დროს ბატონობის შესანარჩუნებლად სახმარის მთავარი იარაღია. სახელმწიფოს უნდა მოუარონ—ეს მათსაც ინტერესშია. მაგრამ იქ სადაც ინტერესები იყოფიან, იძულებული არიან თავიანთნი აშჯობინონ სახელმწიფოსა და ამიტომ არ შეუძლიათ ეკონომიურ სისტემის შეცვლა, ხალხისა და პიროვნებისათვის თავისუფლების მინიჭება, კანონის მიუდგომელი გაქარება და ყველა იმ ზომითა მიღება რომელიც სახელმწიფოსათვის სასარგებლო იქნებოდენ მაგრამ მათს დაუტყვის გამოთქვევდენ— აუცილებლად.

ეს მოძალადე პოლიტიკოსნი რუსი ნაციონალისტებიც არიან. აქ ჩვენ სპეციფიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე — იმიტომ რომ არაკომუნისტ რუს ნაციონალისტებს განსაკუთრებული გარემოება ახლთვებს კომუნისტებთან. ეს გარემოება არის ის საშიშროება, რომელიც რუსეთის იმპერიის მოღალატეობის მიერის კომუნისტებთან დამხობის შემთხვევაში. ამის შეგება თითქმის ერთგულ მოკავშირეებად ხდის ავანტიურა და პატროსან ხალხს. კომუნისტებთან მისაგნებლად იყენებენ.

მათ იდეოლოგიას არაფერი აქვს საერთო იმ ადვირაბსნილ თავხედ იმპერიალიზმთან, რომლის აგრესიობამ ცარიზმის დროინდელ რუსულ შოვინიზმის ყველა ფორმებს გადააქარბა. უფრო ლოგიკური იქნებოდა — შოვინიზმი აელამათ დაკავშირის სხვა ერების შემოარეგებას ცდილიყვნენ. მაგრამ თუ პირიქით ხდება— იმიტომ რომ ჯერ ერთი თვითონ რუსები არიან და მეორე— როგორც ითქვამა, არაკომუნისტ რუსებს მათთან მეტი საერთო ინტერესები აქვთ, ვიდრე სხვა ერების თვით კომუნისტებს.

შეასანადამე საბჭოთა სახელმწიფოს მპყრობელ რუს კომუნისტთა მათვის პირველი საზრუნველი— ხელისუფლების შენარჩუნებაა. ხოლო როგორც რუსები და იმდროსვე იმპერიის მმართველები, რამდენად ეს მათ პირად მეთვობის არ ემუქრება, რუსულ ეროვნულ ინტერესებს და სახელმწიფოს ინტერესთა დამწიფებლადც გამოდის.

დღევანდელ „დაპატარავებულ“ პლანეტაზე — როდესაც ჰამბურგის ბაზარზე ნიგერიაში მოკრეფილი ნესვი იყიდება ხოლო მარაკოელი მწყემსები ჰონკონგში გაკეთებულ ტრანსისტორებით, მექაში გამყვარ ყაღის უსმენენ, კაცობრიობავედარ იცხოვრებს ერთიმეორისაგან გადტრირულ თუნდაც პლანეტარულ განზომილების რაიონებში. საბჭოთა სახელმწიფო დედამიწაზე უპირველესის მეტოქეა მას ყველა ელპარაკება— ფრიადი მორიდებითაც.

პელსინკიში დაწყებული თათბირები ამ ლაპარაკის ერთი დონეთაგანია, მათ თავისებური ხასიათი აქვთ. ჩვენ ქართველები ამას გაფაციცებით თვალს ვადევნებთ, იმელები გვებადება— საფუძვლიანი უსაფუძვლოც, ჩვენი შეხედულება ამ საგანზე შეუძლებელია — უცდომელი იყოს. კიდევ მეტი— ჩვენ მაგალითად უმეტეს შემთხვევაში გვგონია რომ საბჭოელების მიმართ ყველას მოქმედება მცდარია— რაც შეუძლებელია მართალი იყოს. ამიტომ საქმეს იმათი თვალითაც შევხედოთ, ვინც ამ მოლაპარაკების ერთ მხარის აზრს წარმოადგენს. ან ერთი დასავლეთელი რიგითი კორესპონდენტის ანალიზი ბელგრადის შედეგებისა.

დასავლეთის პრესა დიდი ოპტიმიზმით გამოეხმაურა ბელგრადის კონფერენციის დაწყებას. მაგრამ ოპტიმიზმი დაიკლო ბოლო დღებში. კონფერენციის წარუმატებლობად უნდა ჩაითვალოს რომ შემაჯამებელ დოკუმენტში მოხსენებულთა არაა ადამიანის უფლების საკითხი. კონფერენციას არც შეეძლო დიდი შედეგის მოტანა რადგან ყველა გადაწყვეტილება ერხმად უნდა მიღებულიყო ხოლო მონაწილეობდა 35 ქვეყანა. კონფერენციას შეიძლება წარმატება ვუწოდოთ თუ არა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნებს ისახავდენ მონაწილე ქვეყნები. ამერიკელმა ვენსმა მაგალითად განაცხადა, რომ იგი თათბირს წარმატებად მიიჩნევს თუ სამი მიზანი იქნა მიღწეული:

1) დასკვნითი აქტის დებულებათა შესრულების რეალისტური და გულწრფელი განხილვა. კონკრეტული ფაქტების საფუძველზე. 2) შემოწმების რაიმე მექანიზმის დაწესება. 3) ზოგი ახალი კონსტრუქციული წინადადების მიღება. მაგრამ არა დასკვნითი აქტის დებულებათა ცხოვრებაში გატარების შემოწმების ხარჯზე. ამ კრიტერიუმის მიხედვით, შეერთებულმა შტატებმა მიიღწია მის მიერ დასახულ მიზნებს.

ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს გადაწყვეტილება მომავალი შეხვედრის ჩატარებაზე მაღრიდში 1980 წელს. ეს შეთანხმება წარმოადგენს ერთგვარ გარანტიას იმისა რომ ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის კონფერენციის პროცესი გაგრძელდება და მოაგონებს მონაწილე ქვეყნებს, რომ ორ წელიწადში მოუხდებათ ანგარიშის ჩაბარება ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის დებულებათა შესრულებასა თუ შეუსრულებლობაზე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის და მის მოკავშირეებს, მათთვის მთავარი იყო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში. „შინაურ საქმეებში ჩაურევლობის“ პრინციპზე დაყრდნობა- მოსკოვის და მისი სატელიტების დელეგატები ხაზს უსვამდნენ სამხედრო დეტანტი, განხარადებას, სახელმწიფო სუვერენიტეტს და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს. მოსკოვის აზრით, ბრალდებები ადამიანის უფლებების დარღვევაზე ზიანს აყენებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას, და რატომ უნდა. უარს ამბობდნენ დისკუსიაზე პიროვნების უფლებებზე და თავისუფლებებზე. საბჭოთა კავშირმა მიიღწია იმას, რომ შემაჯამებელ დოკუმენტში შეტანილი არ იყოს ადამიანის უფლების საკითხი.

ბელგრადი შეერთებულ შტატებისა და საბ. კავშირისათვის იყო ფორუმი, რომელზეც ორივე მხარე აცხადებდა თავის პოლიტიკას ადამიანის უფლებათა სფეროში, ხოლო ამავ დროს ხაზს უსვამდა ორმხრივ ურთიერთობას, განსაკუთრებით შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის საკითხს.

ბელგრადმა დაგვიტოვა უამრავი კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა ჯერ-ჯერობით ძნელია. საბ. კავშირის და აღმ. ქვეყანათა მოქალაქენი ადამიანის უფლებებისათვის მათ მიერ წარმოებულ ბრძოლაში მომავალშიც თუ განაგრძობენ ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტზე დაყრდნობას? და მეორეს მხრივ: ახლა, ბელგრადის კონფერენცია რომ დამთავრდა, საბ. კავშირის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობები თავს უჭყო თავისუფლად თუ იგრძნობენ დისიდენტების გასანადგურებლად?



როგორც მკითხველი ხედავს ამ ანალიზის დასკვნა ორი კითხვის დასმით თავდება. იტყვიან კითხვის დასმა პასუხი არ არისო. პასუხი არც შეიძლება რომ არსებობდეს. ასეთ კონფერენციაზე ვერაფერი გადაწყდება. იგი მართლაც მხოლოდ ფორუმაა, რომელზედაც რუსეთის და ამერიკის დელეგატები, თითქო ცდილობენ, მსოფლიოს ბუდის გადაწყვეტაში, სხვებიც ჩააიონ. ეს „ჩარევა“ მხოლოდ „აკადემიური“ შეიძლება იყოს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ბუდის გადაწყვეტას, ძნელად წარმოსადგენია, რომ ამაში შინაურმა ფაქტორმა გარეშეზე მეტი როლი არ ითამაშოს.

მახარე კითხველია.

## ეურნალო „მერანი“ს შესაქე ნომერი

ამ ეურნალის მეორე და მესამე ნომერთა გამოსვლას შორის, ეურნალის გარშემო შემოქმედებილ ჯგუფიდანვე დაარსდა ჰელსინკის შეთანხმების საქართველოში გატარების მთვალუხურე კომიტეტი ოთარ ზურაბიშვილის თავმჯდომარეობით. ივერიას უკანასკნელ ნომერში მკითხველებს გაავაცანით ამ კომიტეტის მუშაობის ერთი ეპიზოდი- რომში შემდგარ „სახაროვის სხდომათა“ მსვლელობის დროს. ახლა ეურნალის მესამე ნომრის გამოსვლა, აძლიერებს იმ იმედებს, რომელთაც ჩვენ გამოვთქვამდით და ფაქტებით გვიჩვენებს, რომ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციის ძველი თაობის მუშაობას მემთკვიდრეები უკვე გაუჩნდა.

ეურნალში მოთავსებულია: რეპრესიებისაქართველოში, შუუსაბამლობა თუ ტაქტიკა? დარჯჯან ბერეკაშვილი; მეტრ მეტრისი, მეტრ მორების და ო. ზურაბიშვილის სიტყვებიდან ამოდებული ადკოსტავა და გამსახურდიას საქმის ანალიზი; დოქტორ ავთანდილ პაპიაშვილი-ფსიქიატრიის გამოყენება საბჭოელთა მიერ; ნინო კალაურელი- ქართული ეკლესია, იგივეს გაგრძელება თუ ცვლილება; გია სარჯველიანი- როგორ ხდება კაცო კ.ბ.ბ.-ის აგენტად; კოსტავა და გამსახურდიას ხელმოწერა- ილი დოქუმენტი რომელშიც გაშუქებულია ფვანის საქმის ვითარება; დარჯჯან ბერეკაშვილი-ის რაც სპორტს ადარ ეხება (Du le Sport s'arrete).



# ლეონსტრაცია ტფილისში

პოასკევის თოხნმეტ აპრილს ტფილისში უნივერსიტეტის უბნიდან დაიძრა, უმთავრესად სტუდენტებისაგან შემდგარი დემონსტრაცია. - რამდენიმე ათასი კაცი. მათ ვაუვლიათ ტფილისის მთავარი ქუჩები და მთავრობის სასახლესთან მისულებს, შევარდნაძისათვის გადაუციათ წერილობითი მოთხოვნები. დემონსტრაციის მიზეზი იყო ის, რომ საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ამ დღეებში უნდა დამტკიცდეს, აღარ შეიცავს მუხლს, რომელიც აცხადებს ქართულ ენას სახელმწიფო ენად საქართველოს რესპუბლიკისთვის. ეს მუხლი შეტანილი 1937 წლის კონსტიტუციაში, ამოშლილია ახალი კონსტიტუციის პროექტიდან და მის ნაცვლად ლაპარაკია რუსული და ქართული ენის თანაბარუფლებლიანობაზე. დემონსტრანტები თავიანთ წერილობით საბუთში მოითხოვენ, რომ ახალ კონსტიტუციაში გარკვევით აღნიშნული იყოს ქართული ენის სახელმწიფო ენად ცნობა საქართველოში. როგორც ცნობები ამბობენ, შევარდნაძეს აღუთქვამს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ათ აპრილს ლევილის სასახლაოზე დავკრძალეთ ოცდაათნი წლის ალექსი ჩხეიძე. ვაჟის ვასაღვიძებლად ოთახში შესულ დედას, ლოგინში მშვიდად მწოლი გარდაცვლილი შვილი დახვდა. ეს უმძიმესი განცდა დედისათვის პირველი არ იყო. მან უკვე დაკარგა ჯერ კიდევ ჩვილი ვოვონა გაიანე. შემდეგ - ჩვიდმეტი წლის ვაიოზი და შემდეგ - არც იმდენად ხანშესული მეუღლე გიორგი ჩხეიძე, გენერალ კვინიტაძის ასულს იღას მხოლოდ ერთი უფროსი ვაჟი შერჩა. ასეთია ეს უბედური ამბავი. ადამიანის ენას ამ ზომის ტრაგედიის დროს სახმარაო სიტყვები არ გააჩნია. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ამ ცნობის მოთავსებით გამოვთქვამთ ჩვენს სამძიმარს.

## ქურნალის ფონდი (ფრანგულ ფრანკებით)

თ. ანთაძე - ასი ჟ / გივი გაბლიანი ასოცი ფრ / ირ. მჭედლიშვილი ასი ფრ / ტურფა და ლეო ასი ფრ!  
 რაფიელ ჯაში სამასი ფრ / არჩ. მჭედლიშვილი ორმოცდაათი ფრ / გ. პატარძე - ურატაძისა სამასი ფრ / დავით ვაშაძე ორმოცდაათი ფრ / ბატ. ლომაძე ათი ფრ / აკ. შავგულიძე ორასი ფრ / გივი ზა - ლდასტანიშვილი ხუთასი ფრ / სოშოს ქართული სათვისტომო ასი ფრ / ი. ემუხვარი ასოცი ფრ / ი. კვარცხავა ოცდაათი ფრ / ბატონი დუმიშვილი ოცი ფრ / ბატონი ქიმერძე ოცი ფრ / ი. სალუქვაძე ათი ფრ / ი. ზედგინძე ათი ფრ / ბ. ჰუკიაშვილი ოცდაათი ფრ / ვ. სალუქვაძე ათი ფრ.

სარედაქციო კოლეგია: გივი გაბლიანი, გივი ზაღდასტანიშვილი, შალვა კალანდაძე, გულნარა პატარძე ურატაძისა, მიხეილ ქავთარაძე. (ტექსტის და გამოცემის რედაქტორი)

*DIREKTEUR O. PATARIDZE.*

*Correspondanc, Michel Kavtaradze 61 chm de Tabor 91310 Linas Tel. 901 47 81*

*HORS COMMERCE*